

მინისტრის მილოცვა



დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ მთელს ჩემს ქვეყანას, ყველა მის მეგობარ-გულშემატკივარსა და კეთილშობილურს, ქართულ აგროსექტორის ყველა მუშაკსა და მისი ოჯახის წევრს, ჩვენი მშობლიური მიწის ყველა მოჭირნახულეს. დაე, 2015 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, გამთლიანების, გაძლიერების, კეთილდღეობისა და საყოველთაო აღმავლობის წელი.

ჩემო თანამემამულენო და თანამოსაქმენო, დიდი ოპტიმიზმის საფუძველს მე განვილი ორწლიანი, დაძაბული შრომისა და საქმიანობის ის რეალური შედეგები მაძლევს, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ და საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა წარმატებულად შეაფასა. დიას, საზოგადოება იმიტომ ვახსენებ, რომ სწორედ საზოგადოება, ხალხია ჩვენი მუშაობის უმთავრესი არბიტრი და შემფასებელი, სწორედ მათი დაკვეთა და უმთვრესი მოთხოვნა ქართული სოფლის კრიზისიდან გამოყვანა, აგროსექტორის რეანიმაცია და ფეხზე დროულად დაყენება, რაც უმთავრესია - ჩვენებური გლეხკაცისათვის ქვეყნის მარჩენალის სტატუსის დაბრუნება. ჩვენც საქმეს ამ რწმენით ვემსახურებით და ყველა ღონეს ვახმარებთ იმ მცდელობას, რომ რაც შეიძლება მალე ვაქციოთ საქართველო მაღალტექნოლოგიური აგროინდუსტრიის ქვეყნად.

მას შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა რეალურ პრიორიტეტად გამოაცხადა, ორი წლის მანძილზე კომპლექსურად ჩატარდა ქმედითი, მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიებები. სოფლად გაჩნდა იმედი და იმის განცდა, რომ ახალი ხელისუფლება და მისი სახით კი - სახელმწიფო, რეალურად ფიქრობს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ფიქრობს გლეხკაცზე, ფერმერზე და მენარმზე. ყველა ის პროექტი, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასორციელებს, აგროსექტორში რეალურ შედეგზე გათვლილი. შედეგად, პირველ რიგში მივიღეთ ის, რომ გლეხისა და ფერმერისათვის, ასევე აგროსექტორთან დაკავშირებულ მენარმისათვის, იაფი ფინანსური რესურსი რეალურად ხელმისაწვდომი გახდა და ეს არ გახლავთ პატარა საქმე, რადგანაც საქმის ახლებურად მოწყობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საიმედო ფინანსური უზრუნველყოფის წყაროებსა და ხელმისაწვდომობაზე. სწორედ ამან განაპირობა ძირითადი ის, რომ ორი წლის მანძილზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით და მათ შორის აჭრაშიც, მთაწარის ძალისხმევით და კერძო სექტორის, ასევე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების აქტიური, ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, მნიშვნელოვანი პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოების და ჩვენი სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვან სექტორში სერიოზული და მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

დასასრული მე-2 გვერდზე

„აგროსერვისის ცენტრი“ გილოცავთ!

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს. „ჩვენი ბედნიერება ჩვენს ერთობაშია“, - განაცხადა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ და მისი ამ ბრძნული შეგონების პასუხად, ჩემს ქვეყანას მინდა 2015 წელს მშვიდობა, გამთლიანება, ეკონომიკური აღმავლობა და ყველაფერი ამის საწინდარი და საფუძველი - ერთობა გუგურვო.

სამი წლის წინათ შექმნილი „აგროსერვისის ცენტრი“, გაეროსა და ევროკავშირის დონორული დახმარებით და ხელშეწყობით, შეიძლება ითქვას - პარტნიორული თანამშრომლობით, ასორციელებს იმ პროექტებს, რომელმაც განახლებული ქართული სოფლის, ქვეყნის აგროსექტორისა და საბოლოო ჯამში - სახელმწიფოს სასურსათო უზრუნველყოფის ბაზისი და საფუძველი უნდა შექმნას. ეს ძალზე მნიშვნელოვანი, რთული, საპასუხისმგებლო და საპატიო მისია გახლავთ. პრაქტიკულად, ჩვენ ახალ, სხვა მენტა-

ლობაზე აგებულ აგროცნობიერებას, მიდგომებსა და ღირებულ ბეზს ვაყალიბებთ, ისეთს, რომელმაც ქვეყნის მარჩენალი და უპირველესად სტრატეგიული დარგის, სოფლის მეურნეობის თანამედროვე ინდუსტრიის დონეზე მოწყობა უნდა უზრუნველყოს.

დასასრული მე-2 გვერდზე



„ENPARD AJARA“ გილოცავთ!



ჩვენი ვგუფის სახელით, მინდა, დამდეგ შობა-ახალ წელს მიულოცო სრულიად საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც მის აწმყოს ქნის და მომავალზე ზრუნავს. 2015 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, ეკონომიკური წინსვლის და ყველა დიდი ოცნებების ასრულების წელი. ქართულმა საზოგადოებამ, აგროსექტორთან დაკავშირებულმა ყველა მოქალაქემ, დაინტერესებულმა პირმა და ფერმერმა უკეთ რომ გაიგოს და იცოდეს ჩვენი როლი და დანიშნულება ქვეყნის აგროსექტორის რეანიმაციისა და თანამედროვე აგროინდუსტრიად ჩამოყალიბების საქმეში, განვმარტავ, რომ პროექტი ENPARD არის ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. აჭარაში პროექტს ასორციელებს UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა. ENPARD AJARA - სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სხვა მიზნებთან ერთად, პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოგებაზე ორიენტირებული ფერმერების ვგუფებად ჩამოყალიბებას. მათი შემდგომ კოოპერატივებად რეგისტრაციას და განვითარებას. ფერმერთა მოგებაზე ორიენტირებული გაერთიანების იდენტიფიკაციისათვის და შემდგომი თანამშრომლობის ეფექტურად განხორციელებისათვის შექმნილი და გამოყენებულია კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა: ფერმერთა ფიზიკური მოზილიზაცია დარგების მიხედვით; დარგის ანალიზი და კვლევა აგრობიზნესის წარმოების კუთხით; ფერმერთა გაერთიანების პერსპექტივა დარგში აგრობიზნესის წარმოებისათვის; აქტიურ ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერების გამოვლენა; ფერმერთა სუსტი მხარეების და საჭიროების გამოვლენა; ფერმერთათვის სერვისების პაკეტებისა და რეკომენდაციების შემუშავება; აგრობიზნესის პროცესში მათი შემდგომი მხარდაჭერა.

აჭარაში სოფლის მეურნეობის უწყებსთან და მის სტრუქტურებთან უკვე შედგარმა, არაერთწლიანმა თანამშრომლობამ გამოიღო თვალსაწირო შედეგები და ჩვენც სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლების, დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - საზოგადოების მიერ წარმატებულადაა შეფასებული, რასაც გულწრფელად ვულოცავ ყველას, ვისაც ამ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და სამომავლო საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი აქვს შეტანილი.

ამჟამად, მნიშვნელოვან და მასშტაბურ პროექტებზე ვმუშაობთ, რომლის წარმატებულ განხორციელებასზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი აგროსექტორის მომავლისთვის საიმედო საფუძვლის შექმნა. ჩატარებული სამუშაოებისა და ანალიზის ბაზაზე შევიმუშავებთ ფერმერთა გაერთიანების მხარდაჭერის საერთაშორისო დაფინანსების პროგრამა. დაიგეგმა და გაიწერა მთლიანი სამუშაო პროცედურა, განცხადების მიღებიდან დაწყებული, შეფასებამდე სისტემითა და საგრანტო კონკურსის შემფასებელი კომისიის მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური წევრებით დაკომპლექტებით დამთავრებული. საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი უკვე გაიარეთ. კომისიის სახელზე შემოსული 76 განცხადების ვამური ბიუჯეტის თანხამ 1659400 ლარი შეადგინა. განცხადებების პირველადი განხილვის საფუძველზე მოვახდინეთ მათი სოფლის მეურნეობის მიმართულებების მიხედვით დაჯგუფება, რამაც ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენი ფერმერების ძირითად ნაწილს აინტერესებს მეფუტკრეობა, მეკალმპეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, სასათბურე მეურნეობის მოწყობა და შედარებით მცირე კატეგორიის - აგროსექტორთან დაკავშირებული სხვა დარგების მიმართულებებით მანქანა-დანადგარების შექმნა. კვალიფიკაციური მინიმუმი, რომელიც 70 ქულით განისაზღვრა 76 განცხადებიდან 44-მა გადალახა და შესაბამისად, ფერმერთა ეს ვგუფები, შემდგომი ეტაპისათვის ბიზნეს-პროექტებს წარმოადგენენ. ამავდროულად, გამოიკვეთა ფერმერთა 14 ვგუფი, რომელთა აპლიკაციებმა 70-ქულიანი ბარიერი ვერ გადალახეს, მაგრამ პროექტების მიზიდვებიდან და აქტიულობიდან გამომდინარე, მიუხედავად ამისა, პროექტების სრულყოფისათვის, მოთხოვნათა დონეზე დახვეწისათვის და სრულყოფილი სახით წარმოდგენისათვის.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყანაში ხელისუფლების მიერ აღებული აგროსექტორის დაქვრებული რეანიმაციის კურსი, ჩვენი საერთო ძალისხმევითა და მუშაობით, მალე გამოიღებს სასურველ შედეგს. ამ ოპტიმისტური განცხადების რეალური საფუძველი უკვე არსებობს და ახლო მომავალში ქართული სოფლის მეურნეობის, აგროსექტორის სანარმოებში და კოოპერატიულ გაერთიანებებში თანამედროვე და მონივრე აგროტექნოლოგიებით შექმნილი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის მთავალი ბაზარზე ღირსეულად დამკვიდრებას ერთად ვიზიქებთ.

ლაშა კობახიძე

2

ზემო აჭარაში ხელოვნური განაყოფიერებით მიღებული ხკო დაიბადა

ხელოვნური განაყოფიერება - პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების უსწრაფესი, ყველაზე ეფექტური და ყველაზე მასშტაბური ხერხია.

3

მეცხვარეობის მდიდარი ტრადიციების შენარჩუნებისათვის

წარმატებული საექსპორტო პროდუქტის არეალი დიდია: ირანი, აზერბაიჯანი, ომანი, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, ყატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები...

3

2015 წლის ასტროლოგიური პროგნოზი

ასტროლოგების ვარაუდით, დამდეგ 2015 წელი ბევრი ადამიანისთვის შესაძლოა, წინსვლის, შენების, ურთიერთობის დათბობა-გამოსწორების პერიოდად იქცეს.

4

რა უზლის ხელს სოფლის აღმშენებლობას

სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გაგრძელების შემთხვევაში, ქართული სოფლისა და ქართველი კაცის წელში გამართვას წინ ველარაფერი დაუდგება.

4

მეცხოველე ფერმერები წინასასაქალაქო საჩუქარს მიიღებენ

სადღესასწაულო ძღვენი მეცხოველე ფერმერებს და კოოპერატივებს „აგროსერვისის ცენტრი“-სა და „ENPARD AJARA“-სგან.

„აგროსერვის ცენტრი“ გილოცავთ!

დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

სოფლად ცხოვრება და აგროსექტორში საქმიანობა მიმზიდველი, ეკონომიკურად გამართლებული, რენტაბელური უნდა გახადოს და რაც მთავარია - მოკლე ვადაში უნდა შეეძლოს კონკურენტუნარიანი, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოება, ისეთის, რომელიც ღირსეულად დაიკვიდრებს ადგილს მსოფლიო ბაზარზე.

სწორედ ერთი წლის წინათ, ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიამ შეიქმნა სახალხო მემარტოვანი ჩვენი სამომავლო საქმიანობის სტრატეგია ასე ჩამოაყალიბა: „მომავალი წლიდან შევქმნით იმ პირობებს, რომ 4-5 წელსა და არც ერთი გოჯი მინა არ დარჩეს დაუმუშავებელი, ჩვენ უნდა ვანარმოთ ისეთი მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომ ექსპორტმა ჩაანაცვლოს იმპორტი, ოპტიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა ბუნებრივი რესურსი, რომლითაც მდიდარია ჩვენი ქვეყანა“. ჩვენ იმედით ვხედვით და ვუყურებთ მომავალს და ეს იმედს და მყარებას უნდა მივანიჭოთ და იმ საფუძველზე, რაც საწინააღმდეგოა დიდი მიზნების აღსრულებისათვის შევქმნით. ჩვენ თუ „აგროსერვის ცენტრის“ საპილოტე, თეორიულ-პრაქტიკულ სამეურნეო და საკოლექციო-სადემონსტრაციო ხასიათიდან გამოვალთ, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პროექტი ნამდვილად წარმატებულია, რასაც ხელისუფლება, დონორი საერთაშორისო ორგანიზაციები და აგრომეცნიერების ექსპერტები ერთხმად აღიარებენ. თუმცა, შიდა საქმიანობის თვალსაზრისით, არსებულმა რესურსებმა გვიჩვენა, რომ კიდევ მეტის გაკეთება შესაძლებელია. ამაზე ჩვენ ვფიქრობთ, ვმუშაობთ და არაერთი ნოვაციის დანერგვას ვაპირებთ. გეტყვიტე იმასაც, რომ ზოგიერთ მათგანზე მუშაობა გადაწყვეტს და დამამთავრებელ სტადიაშია და საზოგადოებას კიდევ ერთხელ დავანახებთ, თუ რა ხილული სასწაულების მოხდენა შეუძლია ჩვენს უფლისგან კურთხეულ მიწას, თუ მას გონიერი, განსწავლული და მზრუნველი მეურნე ამუშავებს. ჩვენ ვართ ქვეყანაში ერთ-ერთი სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის სასოფლო-სამეურნეო დანესებულება, რომლის მაგალითზე ჩვენი ფერმერები უნდა გაეცნოს აგრარული წარმოების თანამედროვე მიღწევებსა და სიახლეებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესებს, ჭირნახულის შენახვასა და გადამამუშავების მონივრულ ტექნოლოგიებს, წარმოების განვითარებისა და თანამედროვე აგრობიზნესის განვითარების მეთოდებს.

დარგები, რომლებიც ჩვენს სინამდვილეში პრიორიტეტულია და ჩვენი საქმიანობის ძირითადი არეალია, ავტონომიური რესპუბლიკის აგროსექტორის ძირითადი, ტრადიციული, საარსებო მნიშვნელობის დაგრობა. ესაა მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეხოსტენეობა, მეცხოველეობა და მეფეტვრეობა. ამ მიმართულებით, ჩვენი მიზანია ადგილობრივი და უცხოური წარმოების, ჯიშობრივად გაუმჯობესებული ციტრუსოვანთა და ვაზის, ასევე ხეხილის ნერგების გამოყვანა და ახალი ბაღების გასაშენებლად თვითღირებულების ფასად ფერმერებზე გადაცემა. მეცხოველეობის ხაზით კი, უცხოური, ჯიშობრივი პირუტყვის ბიომასალით, ადგილობრივი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება და ახალი, უფრო მაღალპროდუქტიული მერძეული და მებორცული მიმართულების პირუტყვის გამრავლება.

ჩვენ დაწყებული გვაქვს მეცნიერულ კვლევითი სამუშაოები ხეხილის საუკეთესო ჯიშების შესარჩევად. ჩვენი ფერმერები ჩვენგან მოუთმენლად ელიან გაუმჯობესებული ჯიშების, სხვადასხვა დროის მნიშვნელოვანი ციტრუსების, ვაზისა და ხეხილის ნერგებს.

სამი წლის განმავლობაში შევქმელით, რომ „აგროსერვის ცენტრი“ სიახლეთა დანერგვის ნამდვილ სამეცნიერო-პრაქტიკულ პოლიგონად გვექცია. ამაში უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებს. რომ არა ხელისუფლების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის კეთილი ნება, თანადგომა და რეგიონის აგროსექტორთან დაკავშირებული თითქმის ყველა მეცნიერის, მაღალი დონის პროფესიონალისა და სამეურნეო მუშაკის მხარდაჭერა, დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში ამდენი რამის გაკეთებას ნამდვილად ვერ შევძლებდით. კიდევ ერთხელ მინდა ყველას მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი და სამომავლოდ - უფრო მაღალი სიმაღლეების დაძლევა, წარმატებული საქმიანობა და ყველა ამქვეყნიური სიკეთე ვუსურვო.

გომა ბერიძე

მინისტრის მილოცვა

დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

რაც უმნიშვნელოვანესი და თანაც, ყველა რეფორმისა თუ ნოვაციის საფუძველია - ეტაპობრივად იქმნება ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაქსიმალურადაა მიხლოებული. მიმდინარეობს ახლებური მიდგომებით აქტიური მუშაობა, ჩვენთან წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების, უსაფრთხოებისა და საექსპორტო ახალი ბაზრების მოძიება-დამკვიდრების მიმართულებით. გულახდილად გეტყვიტე, რომ სწორედ 2015 წელს გასატარებული ღონისძიებები და პროექტები გასცემენ პასუხს იმას, თუ რამდენად მიმზიდველი გახდება ჩვენი სოფლის მეურნეობა და ზოგადად აგროსექტორი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის. ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამოცანაა და მიუხედავად, ჩვენი საერთო ძალისხმევით, მონდომებითა და ყველა რესურსების გამოყენებით, ამ საქმესაც წარმატებით დავავიჯრავებთ.

სოფლის აღორძინებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის, ახლებური პოლიტიკისა და სწორი, შედეგებზე გათვლილი მიდგომების შედეგია ისიც, რომ „მეცნიერების ფერმერთა საგანგებო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“-ს ფარგლებში რეგიონის 62 572 ბენეფიციარმა 5 308 885 ლარზე მეტი ღირებულების დახმარება მიიღო. წელს პირველად ამოქმედდა სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამაც, რომელიც 10 000 ფერმერმა ისარგებლა.

როცა ჩვენს მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე და მნიშვნელოვან ხელშეწყობაზე შედეგებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, პირველ რიგში „აგროსერვის ცენტრსაც“ ვვულისხმობთ და სამართლიანად მივიჩნევთ, რომ იგი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია და სწორედ „აგროსერვის ცენტრმა“ შეძლო იმ ბაზის შექმნა, რომელსაც დაეფუძნა კიდევ ჩვენი მუშაობის მთავარი მიზნის განხორციელება. რომ დავკონკრეტოვოთ, ეს მთავარი მიზანი - მეცნიერულ საფუძველზე თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის მაღალტექნოლოგიური მეურნეობის შექმნაა. „აგროსერვის ცენტრი“ მოკლე დროში გახდა კიდევ ფერმერებისათვის თვალსაჩინო მაგალითი გამოცდილების გაზიარების, მეცნარეთა და ცხოველთა ახალი, გაუმჯობესებული ჯიშებისა და პოპულაციების, ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელებისა და

ფერმერულ მეურნეობაში გადატანის მხრივ. შეიქმნა ახალი მონივრე, აგრარული ცოდნა-გამოცდილების გაზიარების ბაზა. იგი თანდათან აფართოვებს სამოქმედო არეალს, განვითარების ახალ პროექტებს გვგზავს. ეს მოიცავს როგორც მეცნიერების, ასევე მეცხოველეობის, საწარმოო გადამამუშავების მიმართულებებს და ფერმერთა სწავლება-კონსულტაციებს.



ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრში. ცენტრმა ერთ-ერთმა პირველმა გაიარა აკრედიტაცია ISO 7025-ის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და დღეისათვის, საქართველოში ლაბორატორიული გამოკვლევების ყველაზე ფართო სფეროთა წარმოდგენილი. ათვისებული იქნა კვლევის ახალი სფეროები (სასურსათო პროდუქტების, გარემოს ფაქტორების, ნიადაგის, პარაზიტოლოგიური და ფიტოსანიტარიული კვლევები), მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა ტესტირების ლაბორატორიას, აღიჭურვა უახლესი საკვლევი აპარატურით, ლაბორატორიული სამუშაოებისთვის (ბაქტერიოლოგიური ნიადაგები, ქიმიური რეაქტივები, სტანდარტული ნიმუშები და შტამები) და ავტოტრანსპორტით. სხვადასხვა ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული იქნა 184 ხელშეკრულება ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაზე მომსახურების განხორციელების მიზნით. საპროგრამო მონაცემებით წელს რეგიონში ციტრუსის მოსალოდნელი მოსავალი 73 000 ტონას შეადგენს. დღეის მდგომარეობით უკვე ექსპორტირებულია 30 906 ტონა სტანდარტული მანდარინი, ხოლო არასტანდარტული ციტრუსო-

ვანთა ნაყოფი მიღებული გადამამუშავებულია 63 65 ტონა. მიმდინარე წელს, რეგიონში 30-მდე ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მუშაობს. არასტანდარტული ციტრუსის გადამამუშავებას კი უზრუნველყოფს შპს „აქტივის მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის ქობულეთის საკონსერვო ქარხანა“ და შპს „TCF GEORGIA“. არასტანდარტული ნაყოფის სუბსიდირება მოხდა 10 თეთრით ყოველ ერთ კილოგრამ ნაყოფზე, ხოლო ჯამში - ფერმერი თითოეულ კილოგრამ ნაყოფზე სახელმწიფოსა და საწარმო-საგან ერთობლივად მიიღებს 20 თეთრს. ასევე დაინერგა ციტრუსის შეფუთვა-დახარისხების უახლესი ტექნოლოგიები. მაგალითად, შპს „TCF GEORGIA“-ს საწარმო სტანდარტული და არასტანდარტული მანდარინის მიღებასა და გადამამუშავებასთან ერთად, ახორციელებს ციტრუსის დაკალიბრებას და შეფუთვას. მანდარინის დაკალიბრების პარალელურად, მისი პარაფირება მიმდინარეობს, რაც პროდუქტის შენახვის ხანგრძლივობას უწყობს ხელს. საექსპორტე ციტრუსის დაფასოება ხდება ევროსტანდარტის მიხედვით პალეტებზე შეკრულ 14 კგ-იან ხის ანა-

თალის, პლასტმასისა და გოფირებულ ყუთებში, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანს ხდის ქართულ პროდუქციას.

მომავალი წლიდან ხელვაშაურის მუნიციპალიტეტში იგეგმება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედება, რომელიც მოემსახურება რეგიონის მეციტრუსე ფერმერებს და გააუმჯობესებს სეზონზე არასტანდარტული ციტრუსის რეალიზაციის პროცესს.

სამინისტრო 2015 წელს განხორციელებს სამიზნობრივ პროგრამას, რომელიც მთლიანობაში მოიცავს 10 ქვეპროგრამას. მომავალი წლის ბიუჯეტში იგეგმება თანამედროვე გაზრდილია 800 000 ლარით. სამინისტროს პროგრამები ორიენტირებულია რეგიონში მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დანერგვაზე და მეცნიერებისა და მეცხოველეობის დარგის განვითარებაზე.

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ დამდეგ 2015 წელს, გისურვებთ ყოველივე კარგს, ღმერთი გფარავდეთ, გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს, გამრავლებას. ეს წელი თქვენთვის ყოველივეს გამოიჩინოს, სიკეთისა და სიხარულის მომტანი.

აჭარის არ სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტყარაძე 2014 წელი

„აგროსერვის ცენტრში“ ექსტენციის სამსახური შეიქმნა

„აგროსერვის ცენტრში“ ექსტენციის სამსახური შეიქმნა, სადაც ჩვენს ფერმერებს კონსულტანტებთან, რჩევებთან და მონივრე გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, მათთვის საჭირო და სასურველი ყველა ინფორმაციის მიღება შეეძლება. ეს სამსახური შექმნილია, როგორც ფერმერთა საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვის ხელშეწყობის და გარკვეულწილად - მაკოორდინებელი ცენტრი, სადაც ხდება აგროსექტორის დარგებისა და სფეროების მიმართ ყველა საჭირო ინფორმაციის, ნოვაციისა თუ აგრონესებისა და ტექნოლოგიური პროცესების მოძიება-მიღება, მათი დამუშავება და ფერმერებისათვის ნებისმიერ დროს მიწოდება. ეს არა მარტო ზრდის ფერმერთა თეორიულ-პრაქტიკული მომზადების ხარისხს, არამედ, ამავედროულად, ახდენს მათ დროულ და საჭირო ინფორმირებულობას უზრუნველყოფას. ასეთი პრაქტიკა კარგა ხანია არსებობს განვითარებული აგროსექტორის მქონე ქვეყნებში და წარმატებულადაც მუშაობს, რაც საბოლოო შედეგებზე აისახება კიდევ.

22 დეკემბერს სულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირში, გაეროს განვითარების ფონდის ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით ექსტენციის ცენტრის შენობა გაიხსნა, რომელიც ზემოხსენებულ ფრიად საჭირო სასწავლო-მეთოდურ და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას სხალთა-ხიხაძირის ხეობის 900-მდე ფერმერს გაუწევს.

მირსა სუქნიშვილი

ჯეომ აჭარაში ხელოვნური განაყოფიერებით მიღებული ხორცი

მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დაწესებამ, მეცნიერებისა და ჩვენი მეგობარი დასავლელი პარტნიორების აზრით, პირველსავე ეტაპზე პირუტყვის პროდუქტიულობა საშუალოდ 50 პროცენტით უნდა გაზარდოს. სამისოლოდ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში გახსნილი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურები. ისინი აღჭურვილი არიან მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტითა და საჭირო თანამედროვე ინვენტარ-მოწყობილობით. ამ საქმეს სერტიფიცირებული, მაღალი კვალიფიკაციის მთესლავი ოპერატორები ემსახურებიან. ფერმერებს საქონლის შთამომავლობის ხარისხზე შემოწმებული ბიომასალით განაყოფი-

ერებას სთავაზობენ. ხელოვნური განაყოფიერება - როგორც ამას მონივრე ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების უსწრაფესი ყველაზე ეფექტური და მასშტაბური ხერხია, თანაც მსურველს თავად შეუძლია შეარჩოს მისთვის სასურველი ჯიშები, რომელიც სპეციალურად ჩვენი ზონის პირობების გათვალისწინებითაა შერჩეული. წელს ასეთი სადგურები აჭარის მთიანეთის ყველა მუნიციპალიტეტში, 3 ერთეული გაიხსნა. როგორც გვაცნობს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბლანაში ზვიად ბერიძის ფერმა 13 დეკემბერს პატარა ფურცე გააჩინა წლის ბოლომდე, ზემო აჭარაში, ხელოვნური განაყოფიერებით მიღებულ ათეულობით ხმის ელან.

ნუგზარ კორდანიანი



სხვისა და თვის ქართული ჯიშები

1) თუშური ცხვარი

ჩვენი ქვეყნის აბორიგენული ჯიშია. მისი გამოჩენილი, უნიკალური თვისებებია:



1. არსებული მომთაბარე-საძოვრული ათვისების უნარიანობა.
2. ხორცის, მატყლის და რძის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები.
3. მატყლის სასურველი ფრაქციული შედგენილობა, უხეში ბუნების შედარებით ნაკლები სიმსხო და მასში გულიანი შრის სიმცირე, მატყლის მაღალი ბზინავიერება, სიმკვრივე, წელვაობა, გრძელების უნარი და შეღებვის მაღალი დონე, აგრეთვე მატყლში მშრალი და მკვეთრი ბუნების სიმცირე. ეს თვისებები მას უნიკალურ ხდის როგორც თექის, ასევე მაუდისა და ხალჩის ნარმოებისათვის.

2) იმერული ცხვარი

მისი უნიკალურობა განპირობებულია ორჯერ მაღალი ფადობით, მრავალნაყოფიერებით - ნელნადში ორჯერ ასრებს ბატყის მოგებას. პოლიესტერიულია, მას არ ახასიათებს სეზონურობა. კარგად ეგუება საკარმიდამო-საოჯახო შენახვის პირობებს. არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას.

3) იმერული თხა

მერული თხა უძველესი ჯიშია და იგი ხალხური სელექციითაა შექმნილი - არის ორი, განსხვავებული მიმართულების ტიპი: მერძეული მიმართულების და მერძულ-მეხორცეული მიმართულების.

მერძეული მიმართულების ტიპის თხა შე-



დარებით მცირე ცოცხალი მასისაა. დედალი - 38-40 კგ, ხოლო მამალი - 60 კგ-მდე იწონის. საშუალო მონაწველი ნელნადში 500-600კგ-ია. მხორცულ-მერძეული ტიპი კი შედარებით დიდია. დედალი 50 კგ, ხოლო მამალი - 80-კგ-მდეა. საშუალო მონაწველი - 350-400კგ-ია.

მგალაზა გავრცელებული თხის ჯიშები

1) ზანდარი თხა - სარძევე თხისა. გამოყვანილია შვეიცარიაში, მდინარე ზანის ხეობაში. ზომით დიდია, დედალი 50-60 კგ-ს იწონის, მაღალი ნაყოფიერებისა და 100 დედა თხაზე - ნელნადში 180-250 თიკანი მოდის. ლაქტაციის 9 თვეს იწარჩუნებს. საშუალო ნაწველი 600-700 კგ-ია. რეკორდული კი 2482 - კგ-ია. გავრცელებულია მთელ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ამერიკასა და აზიაში.

2) მერინოსი - ცხვრის ყველაზე გავრცელებული ჯიშია. მისი სამშობლო - ესპანეთია. იგი წმინდაბუნური ცხვრის ჯიშად ითვლება. რუსეთში XIX-XX საუკუნეში შემოიყვანეს და მერე ყველგან გავრცელდა. სელექციურად შექმნეს მერინოსის მაღალპროდუქტიული ჯიშები: ასკანური, საბჭოთა მერინოსი, აზიურბაიჯანული მისი მერინოსი, კავკასიური, ალითაური, სალსკური, სტავროპოლი და გროზნოული. მერინოსის მატყლი შედგება წმინდა (15-20 მკმ) რბილი წმინდა ბოჭკოსაგან, ერთი წლის მერინოსის მატყლის სიგრძე - 6-8-სმ-ია. მატყლის ნონა ერკემლის 8-12 კგ-ია. რეკორდული კი 30,6 კგ -ს (ასკანური) შეადგენს. სუფთა მატყლის გამოსავალი 35-45 %-ია. მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში ამ ჯიშის ცხვარს ამრავლებენ და მასზეა დამყარებული მსოფლიოს შალეულის წარმოება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მის მოშენებას მისდევდნენ უკრაინაში, ჩრდილო კავკასიაში, ვოლგისპირეთში, ციმბირის სამხრეთ რეგიონებში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ალტაიში.

2015 წლის ასტროლოგიური კრონოზი

ასტროლოგები გვარწმუნებენ რომ, დამდეგი ლურჯი (მწვანე) ცხვრის/თხის წელიწადი, განვლილ 2014 წელთან შედარებით, რომელმაც არაერთი ენებათაღელვა, კონფლიქტი თუ ქაოტური სიტუაცია მოიტანა, როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით შედარებით უფრო მშვიდი, პოზიტიური და დადებითი ძვრებით ხასიათდება.

როგორც ასტროლოგები ვარაუდობენ, 2015 წლის მანძილზე ძირითადი პლანეტარული განლაგება ისეთია, რომ ძალიან ბევრი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს წინსვლის, შენების, ურთიერთობის დათბობა-გამოსწორების პერიოდი. ცხვრის/თხის წელი, პოლიტიკური კუთხით ერთობ დადებითი ძვრების მომტანიც იქნება.



მეცხვარეობის პილარი ტრადიციის უნარჩუნებისათვის

მეცხვარეობა და თხების მოშენება საქართველოში ორნახევარ ათასწლეულზე მეტს ითვლის, მეცხვარეობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს აბოლონიოს როდოსელის (ძვ.წ. III საუკუნე) „არგონავტიკაში“ აღწერილი არგონავტების ეპოპეა, რომლითაც გაიცნო კიდევ საქართველო გარე სამყაროში.

მეცხვარეობა ოდითგან კარგად იყო განვითარებული ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების ზონებში. ბუნებრივი სავარგულების რაციონალური გამოყენების შესაბამისად, ძველთაგანვე ჩამოყალიბდა 3 ძირითადი სისტემა: სამრეწველო-მომთაბარე, სამრეწველო-სტაციონალური და სამომხმარებლო-საკარმიდამო. პირველი გავრცელებულია თუშეთში, კახეთში, ხევისურეთში, მთიულეთში, ქართლში, მერეთში - მესხეთ-ჯავახეთში, მთიან აჭარასა და თრიალეთში; მესამე - ძირითადად დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებში. ძველი ქართული ცხვრის მეცხვარეობით ცაკელთან და დუმიან (ცხიპკუდიან) ჯიშებთან, ხალხური სელექციის გზით შეიქმნა თუშური ცხვარი, რომელმაც შემდგომში გარკვეული გავლენა მოახდინა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ცხვრის ჯიშებზე.

თუშური ცხვარი ნახევრად დუმიანი ცხვრის ჯიშია. იგი მაგარი კონსტრუქციისაა და იტანს დიდ მანძილზე გადარეკვას, კარგად იკვებება მეჩხერ საძოვრებზე, კვერის გაუმჯობესებით მკვეთრად მატყლობს მისი მხორცეული და სამატყლე პროდუქტიულობა. ადრე მწიდდება. ნაკლებნაყოფიერია. აქვს მაღალი ხარისხის ხორცი და თეთრი, დრეკადი, ელასტიკური მზინავი მატყლი. თუშური ცხვრის ცოცხალი მასა: 56-80 კგ-ია. აღწევს 90 კგ-საც. ნერვი შედარებით მომცროა 40-42 კგ; გამონაკლისები 60- კგ-მდე აღწევენ. ნელნადში ორჯერ პარსავენ. ერკემლის ნაპარსი 3-4 კგ-ია. აღწევს 5-5,5 კგ-მდეც. მატყლის კულულის სიგრძე - 11-17 სმ-ია, უდიდესი - 31 სმ-ს აღწევს.

დასავლეთ საქართველოში ხალხური სელექციის გზით შეიქმნა იმერული ცხვრის ჯიშები, იგი ძველი ქართული ჯიშის შთამომავალია, ტანად პატარაა, იოლად შესანახია, შედარებით გამძლე და მდგრადია დაავადებათა მიმართ. აქვს თხელი, წაგრძელებული სხეული მოკლე კონუსისებრი კუდი, ძლიერი კიდურები, ხელი კონსტრუქციულია. უფრო სწორად თეთრია. ზოგჯერ - ქრელი ან ფერადია. ნერვის ცოცხალი მასაა 30 კგ. იშვიათად აღწევს 40 კგ-ს. მატყლი წმინდა და გარდამავალბუნებია, რბილია, ნერვის კულულის სიგრძე - 13,5 სმ-ია (თიეთის სართული 10). ვერძისა - 17,5 სმ (თიეთის სართული 11,5 სმ-ია). ნერვის ნაპარსი - 1,53 კგ-ია, ვერძისა - 2,7 კგ. ხორცის გამოსავლიანობა საშუალოზე მაღალია. ახასიათებს საუკეთესო გემო. სპეციფიკური სუნის არა აქვს და სწორედ ეს განაპირობებს მისადმი უდიდეს ინტერესსა და პოპულარობას. ამ ჯიშის ცხვარი ძალზე სწრაფად იზრდება და ადრე მწიდდება. მაგალითად, 6 თვის თოხლი წონით უკვე ზრდასრული ცხვრის წონის 75%-ს აღწევს. 4 თვის ასაკში სქესობრივად უკვე მომწიფებულია. 11-13 თვისა 2-5 ბატკანს იგებს; რომელითაც ორს და მოუკიდებლად ზრდის. პოლიესტერიულია; იგი მრავლდება ყველა სეზონში. იმის გამო, რომ ადრეულია,

პოლიესტერიული და მრავალნაყოფიერი, მას თაობათა სწრაფი ბრუნვა ახასიათებს. მაგალითად: 3 წლის ერთი ნერვის შთამომავალი ხშირად 10-20 სულს აღწევს, ხოლო რეკორდული ნერვის შთამომავლობამ სამახვივარ ნელნადში - 76 სულს მიაღწია.



ქართული ცხვარი წარმატებული საქსპორტო პროდუქტია. გასულ წელს საქართველოდან ექსპორტზე 300 ათასი სული ცხვარი გაიყვანეს. ქართული ცხვრის საქსპორტო არეული დიდია: ირანი, აზერბაიჯანი, ომანი, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, ყატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები. წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვარაუდითაღბათ მიიჩიუმ 10% -იანი ზრდა მინც იქნება. მარტო ყატარში 70 ათასამდე ცხვარი გაიყვანეს. არაბი ბიზნესმენების დაინტერესება ქართული ცხვრის ხორცის გამოჩენილმა მაგნიტმა, სიახვემ და ტრანსპორტირების დაბალმა ლიბრებულბამ განაპირობა. ადრე, მათ მასიურად ცხვარი და ბატკანი ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან და ბრაზილიიდან შემოიყვანდა, რომელიც ძალზე ძვირი უფლებობდა, ხორცი კი იქაური პირობების და საკვები რაციონის გამო - მძაფრი სუნით და ჭარბი ცხიმინობით გამოირჩევა.

გარკვეული მიზეზების გამო ჩვენებური ცხვრის სულადობის თაობაზე ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. სხვადასხვა გათვლებით, ამჟამად ქვეყანაში 700 ათასიდან 1 მილიონამდე სული ცხვარი და თხა უნდა იყოს. საქართველოში არსებული ცხვრის 80-85 პროცენტი ყოველთვის თუშური ცხვარზე მოდიოდა და ეს პროპორცია სავარაუდოდ იგივეა.

როგორც ირკვევა, არაბი ბიზნესმენები, მხოლოდ მსხვილი გარიგებებით ინტერესდებიან და ძირითადად მაღალ ცხვრებსა და თოხლებს ყიდულობენ. ექსპერტების მტკიცებით, ამ დარგის ექსპორტის განვითარებას ბევრი დადებითი მხარე აქვს: რაც მთავარია, იზრდება ინტერესი ცხვრის კვლავწარმოებისა და გამრავლებისადმი, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ პროცესში აუცილებელია მეცნიერებისა და ზოოტექნიკის - სელექციონერების ჩართვა. საქართველოდან ადგილობრივი ცხვრის ჯიშების გაყვანა მათი რეკომენდაციებით უნდა ხდებოდეს.

ექსპერტების მოსაზრებით, რასაც ძნელი არ და-

ეთანხმო, ნედლეულის გადაამუშავებელი წარმოების განვითარების შემთხვევაში ცხვარი, შესაძლოა უფრო ფასეულ პროდუქტად იქცეს და ფერმერებმა, სასელექციო ბიუჯეტსა და ნედლეულის გადაამუშავებელ საწარმოებში დასაქმებულებმა უფრო მეტი მოიგონ. თუშური ცხვრის მატყლზე, როგორც სახალჩე ნედლეულზე, ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო და თუ ერთი ცხვარი წლიურად საშუალოდ 2,5 კგ ნაპარსია, იგი ამჟამად ქვეყანაში შესაძლებელია 1,2 ათასი ტონა მატყლი გადაამუშავდეს თუმცა ამ ეტაპზე მეტი აქცენტები ცხვრის რძის რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და ესოდენ პოპულარული ცხვრის ყველის წარმოებაზე გადატანაზე.

მათაუშეთში, მეცხვარეობით განთქმულ მხარეში ცხვრის რძიდან მზადდება ცნობილი ქართული ზრენდი - გუდის ყველი. იგი ტრადიციულად ნაღებობილი ცხვრის რძიდან მზადდება, რის გამოც დიდი ცხიმინობითაა გამოირჩეული. ტრადიციულად სავსე გუდა - ცხვრის ტყავისა იყო, რისთვისაც თუშები ცხვარს „გუდურად ატყავდნენ“, ტყავს მუცელზე არ ჩრდილდნენ და მიერ ხორცს კისრიდან აძვრდნენ. საერთოდ, თუშური გუდის ყველის დამზადების ტექნოლოგიას თითქმის ორ ათასწლეულზე მეტი ხნის ისტორია აქვს და მის უნაკლებს ამ პროდუქტის დამზადების ყველა ეტაპი და სტადია განაპირობებს. იგი ამის გამო ითვლება ყველის დამზადების კლასიკური, უძველესი ტექნოლოგიის შედევრად, მისი შენარჩუნება, დაცვა და ქვეყნის ტურინდუსტრიისათვის გამოყენება - ეროვნული ღირსების საქმეა.

ყველის და განსაკუთრებით კი, თუშური გუდის ყველის გურმანებმა უნდა იცოდნენ, რომ ნამდვილ თუშურ გუდის ყველს არ ახდის ხოლმე ცხვრის მკვეთრი მძაფრი სუნის, ისეთი, როგორც სხვა რეგიონებში დამზადებული მის ანალოგებს ასახასიათებს. მას წესით, პიკანტური და განუმეორებელი არომატული სურნელი უნდა ახდოდეს.

მსოფლიოში ყველაზე მეტ ცხვრის რძის პროდუქტს ფრანგები აწარმოებენ და მოიხმარენ. იქ დაახლოებით 400-მდე სახის ყველი მზადდება და აქედან თითქმის ნახევარი - ცხვრის, თხის ან ძროხის რძესთან შერეული რძისგან მზადდება. საერთოდ ამ ქვეყანაში არსებობს არეცენდენტო რამ - ყველის ენციკლოპედია. ფრანგული და იტალიურ-ბერძნული ყველის თემა ამოუწურავია. ხშირ შემთხვევაში ტურისტები იქ ამ უმდიდრესი ასორტიმენტის დასაგემოვნებლად ჩადიან. წესით, ყველა ღვინო, მისთვის გამოჩენილი ყველთან მიერთებულ ყველაზე პოპულარულ ყველებსა „კამბერო“, „პონ ლევევი“ - ნორმანდიიდან, ელზასური „მანსესტერი“, ალპური „რეპლონი“, პარიზელს განსაკუთრებით მოსწონთ - „პრი“ რომელიც ფრანგულ მენიუში ნითელ ღვინოსთან განუმეორებელი და შეუცვლელია. თუმცა ყველაზე ძვირფასი და ცნობილი „როქფორი“ იგი გამოჩენილად უყვარდა ნაპოლეონ ბონაპარტს. „მეფე ყველის სახეობის შორის“, - ასე მოიხსენიებენ მას ფრანგები. იგი ყველაზე ცნობილი ცისფერი ყველა მსოფლიოში მზადდება მხოლოდ ცხვრის რძისგან და ისიც მხოლოდ საფრანგეთის სამხრეთ შიდაეთში.

დაბოლოს, ყველაზე მეტ ცხვრის ხორცს (ძირითადად ბატკნის და თოხლის -ს) ბრიტანელები მოიხმარენ. აქ მისი მოხმარების ტრადიციული კულტურაა ჩამოყალიბებული.

ნუგზარ გორდანი

აბროსერვის ცენტრს განახლებული ვებ-გვერდი ექნება

დღეიდან „აბროსერვის ცენტრი“ ჩვენს ფერმერებსა და ყველა დაინტერესებულ პირს განახლებულ და ყოველმხრივ სრულყოფილ ვებ-გვერდს სთავაზობს. ამ სახლით ინტერნეტ მომხმარებლებს და პირველ რიგში ჩვენს ფერმერებს საშუალება ექნებათ არა მარტო სოციალური და სიახლეების განცხობისა, არამედ, შეეძლებათ ონლაინ რეჟიმში მიიღონ მათთვის საჭირო და სასურველი ყველა ინფორმაცია და კონსულტაცია, რომელიც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში უდიდეს დახმარებას გაუწევს. ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმერების ინფორმირებულობის ხა-

რისს მუდარების სწორად წარმართვისათვის, მეცენარეობასა თუ მეცხოველეობაში აგრო და ზოოტექნიკით, ტექნოლოგიური ინსტრუქციებითა და მეცნიერული რეკომენდაციებით მუშაობას, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წარმატებულ საქმიანობას. ჩვენს ფერმერებს კონსულტაციებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გაუწევენ. პროგრამა ENPARD AJARA - სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის რეგიონში, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

ლია მარკოძი



სასწავლო ტური აგროსერვის ცენტრში



„აგროსერვის ცენტრში“ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში სასწავლო ტური მოეწყო. ტურში მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ „აგროსერვის ცენტრში“ ვაზისა და ხეხილის საწარმე მეურნეობა დაათვალიერეს და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების მიმდინარეობას გაეცნენ. სასწავლო ტურის მიზანია, სოფლის მეურნეობაში მიღებული გამოცდილების გაზიარება და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა იყოს.



მეცხოველე ფერმერები წინასასაქალაქო საჩუქარს მიიღებენ

წინასასაქალაქო დღეებში „აგროსერვის ცენტრი“ მეცხოველე ფერმერებს და კოოპერატივებს პირუტყვის საკვების დამუშავებულ უნივერსალურ საოჯახო დანდგარს „AKV-03“-ს გადასცემს.

ეს საკმაოდ კომპაქტური და მაღალწარმოებლური დანდგარია, რომელიც ჩვენს მეცხოველე ფერმერებს საშუალებას მისცემს დააქუცმაცონ და დაამუშაონ როგორც მშრალი საფურავე მარცვალი (სიმინდი, შვრია, ხორბალი, სორი, ქერი), ასევე ძირხვენი (კარტოფილი, საკვები ჭარხალი, სტაფილო, თაღამი, ტურნეფსი), ისე თივა, ნამჯა, და ჩალა. ეს პირველი რიგში ფერმერებს დაეხმარება პირუტყვის კვების რეჟიმისა და რეცეპტურის ოპტიმიზაციაში, რაც აუცილებლად აისახება როგორც წველაობაზე, ასევე წონაგატებაზე. დანდგარს საათში 300 კილოგრამი მარცვლეულის, 500 კილოგრამი ძირხვენი და 80 კილოგრამი თივისა და ჩალის დაქუცმაცება-დამუშავება შეუძლია. მისი დამონტაჟება ყველგან შეიძლება, საკმაოდ მცირე გაბარიტებისა და მხოლოდ 40 კილოგრამს იწონის. მისი გადატანა სეზონზე იალაღებზეცაა შესაძლებელი, თუ კი ამის საჭიროება იქნება.

წელს ასეთ დანდგარ-მოწყობილობას 6 ფერმერი და კოოპერატივი მიიღებს. სამომავლოდ კი, ასეთ დანდგარს გაცილებით მეტი ადრესატი ეყოლება.

„აგროსერვის ცენტრში“ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში სასწავლო ტური მოეწყო. ტურში მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ „აგროსერვის ცენტრში“ ვაზისა და ხეხილის საწარმე მეურნეობა დაათვალიერეს და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების მიმდინარეობას გაეცნენ. სასწავლო ტურის მიზანია, სოფლის მეურნეობაში მიღებული გამოცდილების გაზიარება და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა იყოს.

რა უფლის ხელს სოფლის აღმშენებლობას

„რა სოფელი დაეცეს ქვეყანა დაძაბუნდესო“, – უთქვამს ჩვენს დიდ წინაპარს. ამ ჭეშმარიტებას თავისი აქტიუ-ალურობა დღესაც არ დაუკარგავს. ჩვენი ქვეყანა, საქარ-თველო ოდითგანვე მიწათმოქმედების რეგიონია და ამაში მას გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს.

ბუნებრივ კლიმატური პირობები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ვანარმობით შედარებით ნაკლები დანახარჯებით და მივიღოთ ბიოლოგიურად ბევრად უფრო სუფთა და ხარისხიანი მოსავალი. მაგრამ პრაქტიკულად, ეს ასე არ ხდება და ქვეყანა იმპორტირებული, უფრო მდარე ხარისხის პროდუქციის გასაღების ბაზრადაა ქცეული. დღესათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის წილი ზოგიერთ სახეობაში 80 პროცენტს აჭარბებს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ დარგში დახარჯულმა მილიარდებმა სიტუაცია უკეთესობისაკენ ვერა და ვერ შეცვალა. პირიქით, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით მთლიან შიდა პროდუქტში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები წლიდან-წლამდე მცირდება და სოფლად და ქალაქად მაცხოვრებელ მოქალაქეთა საკმაოდ დიდი ნაწილის ყოფა კვლავ გაუსაძლისი რჩება. ამის გამო ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. დღესათვის ქვეყნის მოსახლეობის 10-15 პროცენტია მდიდარი, 10 პროცენტი უზრუნველყოფილი და დანარჩენი 65-70 პროცენტი ღარიბი, ლატაკი და ბოგანოა.

რდილია მიგრაციის მაჩვენებელი. შე-საბამისად შემცირებულია სოფლად შრომისუნარიან ადამიანთა რაოდენობა. სოფლის მოსახლეობის ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადამიანები საშო-ვარზე ან ქალაქშია გადასული ან საზო-ვარგარეთაა გადახიზნული ფულის სა-შოვნელად. მიზეზი მარტივია. გარდა დანაყრებისა თანამედროვე ადამიანს სოფლადაც და ქალაქადაც ბევრი ისე-თი რამ სჭირდება, რომლის შექმნასაც თანხები უნდა. მაგრამ, როცა ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი რეგულა-რულად დაუსაქმებელია, საიდან იშო-ვოს ადამიანმა საჭირო ფული? ამბო-ბენ, სოფლად მოსახლეობის 60 პრო-ცენტი თვითდასაქმებულიაო. კი ბატო-ნო, იყოს ეგრე, მაგრამ ამ თვითდასაქ-მებულ ადამიანებს სოფლად მინის სიმ-ცირისა და მინის რეფორმების გაუტა-რებლობის გამო (აჭარის ავტონომი-ური რესპუბლიკა), რომ ვერ უნარმო-ებია იმდენი პროდუქცია, რომ თავი გა-მოიკვებოს და წელიწადში ერთი სუ-ლი პირუტყვი და ერთი საჯიშე მამა-ლიც ვერ გამოუზრდია, ფულის მისა-ღებად რისი რეალზაცია მოახდინოს? შედეგად ბევრი სოფელი დატოვდა და ეს პროცესი კვლავ აქტიურად მიმ-დინარეობს. სად არის სხნა, რომ ეს ვი-თარება ვერ შეჩერდეს, შემდეგ კი უკე-თესობისაკენ შეიცვალოს? გამოსავალი ერთია - მხოლოდ სოფლად დასაქმე-ბისა და დამაგრების მხრივ ისეთი პი-რობები უნდა შეიქმნას და ისეთი დარ-გები განვითარდეს, რომ ადამიანების ყოფა თანამედროვე მოთხოვნების სა-შუალო დონეს მაინც მიუახლოვდეს და ადამიანებს ფულის გამოშუშავების სა-შუალება მიეცეს. სხვა შემთხვევაში სოფლის ადამიანებისგან დაცლის პრო-ცესი არ შეჩერდება. წლების შემდეგ შეიძლება მათ შთამომავლობას აღეჭ-რას სურვილი მამა-პაპურ კერას მიუბ-რუნდეს და იქ იცხოვროს, მაგრამ იგი ამას ვერ შეძლებს იმიტომ, რომ თუ ადამიანი იქ დაბადებული და გაზრდი-ლი არ არის, იქაურ პირობებსა და სირთულეებს არ არის ნაზიარევი და ნასაზრდოები იგი ამას უბრალოდ ვერ მოახერხებს. ამას საკუთარი გამოცე-ლებიდან გამომდინარე ვამბობ და ყვე-ლა დამეთანხმება ალბათ, ვისაც მაღალ-მთიან სოფელში უტყობრია. იქ ცხოვრე-ბასა და ყოფას, თავის გატანასა და მი-



თუმეტს ოჯახის ღირსეულად პატრო-ნობას ვერ მოახერხებ თუ იქაურ ნიუან-სებში გარკვეული და გამოცდილი არ ხარ. ეს კი ნაამბობითა და კეთილი გან-ზრახვის სურვილებით ვერ მოხერხდე-ბა. ამას ბავშვი დაბადებიდანვე უნდა ეწ-ვეოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ქართული სოფელი აღორძინდება და ვერც მისი სვავი და ბარაქა გაიზრდება. თუ ამ მხრივ სახელმწიფო მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება ქართული სოფლი-სა და ქართველი კაცის წელში გამარ-თვას ვერაფერი დაუდგება. ქართველ-კაცს სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და მოღვაწეობდეს საკუთარი კუთხის, მშობ-ლიური კერისა და მამაპაპისეული სა-

ცხოვრისის სიყვარული და ნოსტალგია ყოველთვის თან ახლავს და მისკენ იზი-დავს. ამ მხრივ არც გამონაკლისი არც თქვენი მონა მორჩილია და ერთხელ ამ-გვარი მონატრებით გამონეველი გან-ცდა ვცადავ ქარალზე გადაამეტანა, რომელიც მინდა თქვენც გაგიზიაროთ. მჯერა, იგი ბევრი თქვენგანის ემოცი-ებსა და სათქმელს დაემთხვევა, როცა საახალწლოდ ძირძველ ოჯახში, მამა-პაპისეულ კერასთან შეიკრიბებით და ოჯახისა და ქვეყნის კეთილდღეობისა და დღეგრძელობის სადღეგრძელოს შესვამთ. დღეგრძელობა და მრავალი ახალი წელი დაგვებდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

- ნოსტალგია (მონატრება) მშობლიური კერისა**
- ჩვენი ეზო, ჩვენი სახლი, დედა, მამა მავარი, ფუტკარივით მშრომელნი და ნაშრომ-ნაამაგარი.
 - უკვე წლებით დაუნძღვლენი, შევერცხლინი ჭადარიო, ბუხრის პირას მოყოლილი, მათი ტკიბილი ზღაპარი.
 - მეუფხალი, ნაკვერჩხალი, ნაცარი და დადარი, ჭადი კეცში გამომცხვარი, ყველი დერვის მავარი.
 - შებრაწული წიწილი, წვენი წიწის, მაყვალის, მწვანილი და ღოქის ღვინო, ჩხავერის და ხვანჭკარის.
- სადღეგრძელო უფლისა, მშობლების თუ პატარის, წინაპართა გასხენება, სიწმინდეთა ალაგის.**
- საქართველოს უკვდავების, დიდგორის და მარაბდის, ზასიანის კრწანისის და, არაგველის სამასის.
 - მტრის გამრულად დახვედრის და უსამართლოდ არავის, ლაზათიან შემოდგომის, სიუხვის და ზარაქის.
 - ჩვენი ეზო, ჩვენი სახლი, დედა, მამა, მავარი, ჩვენი ციხე სიმაგრე და, ანთებული ლამპარი.

ნუგზარ ოქროპირიძე სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

ფინანსური სისტემის ჩიის სანჯი აპარატურის გადართობა

„ENPARD AJARA“ სოფლის მე-ურნეობის განვითარების ხელშეწყო-ბა აჭარის ავტონომიურ რესპუბლი-კაში პროექტის ფარგლებში, „აგრო-სერვის ცენტრის“ დირექტორმა, გო-ჩა ბერიძემ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში მცხოვრებ მე-ცხოველეობის ფერმის მესტრონეს, რეზო ხარაბაძეს რძის სანჯი აპა-რატის გადასცა. პროექტს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „აგროსერვის ცენტრი“, გაეროს გან-ვითარების პროგრამა და ევროკავ-შირი ერთობლივად ახორციელებენ. პროგრამა 2016 წლამდე გაგრძელდე-ბა. პროექტის მიზანია რეგიონში მე-ცხოველეობის განვითარების ხელშე-წყობა და ახალი თანამედროვე ტექ-ნოლოგიების დანერგვა, რაც სამო-მავლოდ ფერმერებს შრომას შეუშ-სუბუტებს და მოგებას გაუზრდის.



ლია მარკოძიძე

„აგროსერვის ცენტრში“ მარწყვის ახალი სათბური ამოქმედდა

„აგროსერვის ცენტრის“ გვარა - ხუ-ცუნის საწარმე მეურნეობაში სპეცი-ალურად თანამედროვე აგროტექნო-ლოგიით, მარწყვის ახალი სათბური ამოქმედდა. 480 კვადრატულ მეტრზე მოწყობილ სასათბურე მეურნეობაში, რომელსაც სამომავლოდ საწარმელო-სადემონსტრაციო დანიშნულება ექ-ნება, დღეს მარწყვის დარგის პროცე-სი დაიწყო. დაახლოებით 10 000 ძირი „შანანდრას“ (მთელნაყოფა რემონტან-ტული ჯიშის) ჯიშის ნერგი იქნა დარ-გული. აღნიშნული ჯიშის გამოირჩევა, როგორც ამინდის ცვალებადობის, ისე დაავადებებისა და მავნებლების მი-მართ გამძლეობით. გამოდგება რო-გორც დახურულ ისე ღია გრუნტში მო-საყვანად. ნაყოფი ღია წითელი შეფე-რილობის, მსხვილი და მკვრივია. მო-სავალს იძლევა უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში. ერთი ძირი, დაახლო-ებით, ერთ კილოგრამ მარწყვს იძლევა.

მაიკროსერვის ცენტრი

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში

მომსახურება, მომხმარებელთა ინფორმაციის მიწოდება

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 100

საქართველო, თბილისი (6010)

გოგაბაძის ქუჩის 46ა

ელ. ფოსტა: agroservice.center@yahoo.com

ტელ.: 593100829

WWW.AGROSC.GE

ჩილის სანჯი აპარატურის გადართობის პროექტის მენეჯერი

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში